# მამაცმა ადელის პინგვინმა იმპერატორული პინგვინის ბარტყები გადაარჩინა



**BBC-ის ოპერატორები გადაცემაზე „ჯაშუში თოვლში“ (Spy in the Snow) მუშაობდნენ, როდესაც შენიშნეს, რომ იმპერატორული პინგვინის ბარტყებს თავს დაესხა მტაცებელი მფრინველი.**

მან დრო იხელთა და თოვლში წაქცეული სუსტი ბარტყის წაყვანა ეცადა, მაგრამ მეგობრებმა მტაცებელს ამის საშუალება არ მისცეს, ბარტყი წრეში მოაქციას და მტაცებელი ფრინველი ახლოს არ მოუშვეს. თუმცა წინააღმდეგობის გაწევას დიდხანს ვერ შეძლებდნენ. მგარამ, ბედმა გაუღიმა და დამცველი გამოუგზავნა. ადელის პინგვინმა, რომელიც თანით ამ  ბარტყებზე მომცროა, შენიშნა რა პატარების გაჭირვება და მამაცად გაეშურა მათკენ. ადელის პინგვინები  მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან, მათ მსხვილი ალბატროსებიც არიდებენ თავს, მიტომ მტაცებელმა უკან დაიხია. ადელის პინგვინმა კი ბარტყები მშობლიურ კოლონიამდე მიაცილა.

https://www.youtube.com/watch?v=Z7PlUGbsXlQ